



ონის მუნიციპალიტეტის მერია

ონის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

ქ. ონი



N 225
20/02/2018

225-02-4-201802201608



საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 თებერვლის N405 განკარგულებით გამოყოფილი თანხის ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით დამტკიცებულ შემოსულობებსა და გადასახდელებში ცვლილებების ასახვისა და შესყიდვების დამტკიცებულ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ.გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონი „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის, „ონის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდექს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 მარტის N10 დადგენილების მე-2 მუხლის მე-6 პუნქტის, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 15 თებერვლის N405 განკარგულების და საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-3 მუხლის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. გაიზარდოს, როგორც შემოსულობები, ასევე გადასახდელები საქართველოს რეგიონში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხა 2 090 000 (ორიმილიონ ოთხმოცდაათი ათასი) ლარით, კერძოდ: ბარი-მრავალძლის გზის ასფალტირებაზე 1 330 000 (ერთიმილიონ სამასოცდაათი ათასი) ლარით და სოფელ ღარის შიდა გზების ასფალტირებაზე 760 000 (შვისასსამოცი ათასი) ლარით;

2. გადმოტანილი იქნას მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან ქ. ონის კეთილმოწყობის წილობრივი დაფინანსებიდან 33 456 (ოცდაცამეტიათას ოთხასორმოცდათექვსმეტი) ლარი საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაციისა და მოვლა-შენახვის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში სოფ. ბარი-მრავალძლის გზის ასფალტირების სამუშაოს წილობრივი დაფინანსებისათვის;

3. დაევალოს ონის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს განახორციელოს ყველა საჭირო ღონისძიება აღნიშნული ცვლილების განსახორციელებლად;

4. შევიდეს ცვლილება შესყიდვების დამტკიცებულ გეგმაში;

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13) ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“-ს VIII თავის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისთანახმად.

ემზარ საბანაძე



მუნიციპალიტეტის მერი